ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 08.08.01/10/ 606

ქ. თბილისი 20 დეკემბერი 2017 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი გვილავას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯემაი" (შემდგომში _ მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან დონაძის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი, (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების საგანია ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურისათვის, 2018 წლის შობა-ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით, ალტერნატიული მუსიკის/დიჯეების კონცერტების ორგანიზების მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 დეკემბრის N2577 განკარგულების, „ქალაქ თბილისის მერიისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 11 დეკემბრის N3287 განკარგულებისა (SMP170002834) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 06 დეკემბრის N1-2718 ბრძანების შესაბამისად.

2.2 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია: 2018 წლის შობა-ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით, ახალ აღმაშენებელზე, ქუჩის ორ ადგილას, „new cmoers" - დამწყები არტისტების ალტერნატიული მუსიკის კონცერტის ორგანიზების მომსახურების შესყიდვა. მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (დანართი N1) და გასაწევი მომსახურების აღწერილობა (დანართი #2) თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

2.3 გასაწევი მომსახურების დეტალური ტექნიკური დავალება შეთანხმდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ღონისძიების ფორმატიდან და საჭიროებიდან გამომდინარე.

2.4 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს *10005 (ათიაათას ხუთი) ლარს*, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით.

2.5 კლასიფიკატორის კოდი - **79952100 - კულტურული ღონისძიებების ორგანიზება.**

2.6 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევის ვადა: 2017 წლის 24 დეკემბრიდან 2018 წლის 07 იანვრის ჩათვლით, ეტაპობრივად, გასაწევი მომსახურების აღწერილობაში (დანართი N2) მითითებული ღონისძიებების ჩატარების განრიგის (ცხრილი N1 და ცხრილი N2) შესაბამისად.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, ახალი აღმაშენებელი.

3.3 შემსყიდველი იტოვებს უფლებას ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელთან შეთანხმებით შეცვალოს (დააზუსტოს) მომსახურების გაწევის ზუსტი თარიღი, დრო, ადგილი და გასაწევი მომსახურება.

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ გაწეული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის თანამშრომლები.**

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.**

6.3 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2017-2018 წლების ბიუჯეტის სახსრებით (2017 წელს - 3585 ლარი; 2018 წელს - 6420 ლარი) ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ დაქვითულ იქნეს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, კერძოდ, ღონისძიების ფარგლებში შესასრულებელი დავალების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შეთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

8.3 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

8.5 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის მოთხოვნებს, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში;

ბ) შემსყიდველთან შეუთანხმებლად მიმწოდებლის მიერ ღონისძიების ფარგლებში გასაწევი მომსახურების ცვლილების შემთხვევაში;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის

ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ღირებულება

12.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

12.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

13. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ მოთხოვნის შემთხვევაში შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

13.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტაქტო პირი ქ-ნ ქეთევან დონაძე, მობილურის ტელეფონის ნომერი: 599968885; ელექტრონული ფოსტა: ketevandonadzege@gmail.com;

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტ. პირი: ბ-ნ ზაზა ცინაძე, მობილური ტელეფონის ნომერი: 591-44-54-22; ელექტრონული ფოსტა: z.tsinadze@tbilisi.gov.ge.

13.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

13.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

14.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

14.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. სხვა პირობები

15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15.4 „ხელშეკრულების" მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების" ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

15.5 „ხელშეკრულების" ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა" მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების" შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა/ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების" სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების" შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

16. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7 სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/ა # GE24NB0330100200165022 ს/კოდი: 204521794	შპს „ჯემაი" მის: ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა N43, ბინა N4, ცოკოლის II სართული სს „თიბისი ბანკი" კოდი: TBCBGE22 ა/ა # GE28TB7038236080100008 ს/კოდი: 405207093
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ი. გვრლავა	შპს „ჯემაი"-ს დირექტორი ქ. დონაძე

მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

N	მომსახურება	ერთი დღის ღირებულება	დღეების რაოდენობა	ჯამური ღირებულება	2017 წლის ბიუჯეტის სახსრებით ასანაზღაურებელი თანხა	2018 წლის ბიუჯეტის სახსრებით ასანაზღაურებელი თანხა
1	DJ -ალექსანდრე გელაშვილი	125	4	500	250	250
2	DJ - გუგა თურქაძე	125	3	375	125	250
3	DJ - ირაკლი გუგუშვილი	125	5	625	375	250
4	DJ - დავით ლომთათიძე	125	3	375	0	375
5	DJ - ბექა გაბრიჩიძე	125	4	500	125	375
6	DJ - ლევი ბერიშვილი	125	1	125	125	0
7	DJ - ლაშა მარგიანი	125	1	125	125	0
8	DJ - ირაკლი პაიჭაძე	125	2	250	125	125
9	DJ - თორნიკე კაკაბაძე	125	3	375	125	250
10	DJ - დარია ზვედრე	125	4	500	250	250
11	DJ - ბექა სამველიძე	125	4	500	250	250
12	DJ - ლევან ჯიშმელეიშვილი	125	2	250	125	125
13	DJ - გიორგი გიგინეიშვილი	125	3	375	0	375
14	DJ - ნესტან ქვლივიძე	125	2	250	125	125
15	DJ - თორნიკე შაბულიშვილი	125	4	500	125	375
16	DJ - გიორგი ლაღიძე	125	3	375	125	250
17	DJ - მირანდა ნამიჩეიშვილი	125	3	375	125	250
18	DJ - თეკა ივანიშვილი	125	3	375	125	250
19	DJ - ელენე ნადირაშვილი	125	2	250	0	250
20	DJ - გიორგი გველესიანი	125	2	250	0	250
21	DJ - გიორგი ჯაფარიძე	125	2	250	125	125
22	ღონისძიებების ორგანიზება	167	15	2505	835	1670
	სულ ჯამი	10 005 ლარი			3585	6420

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი

ი. გვილავა

შპს „ჯემაი“-ს

დირექტორი

ქ. დონაძე

გასაწევი მომსახურების აღწერილობა

„new comers"- დამწყები არტისტების ალტერნატიული მუსიკის/დიჯეების კონცერტები ახალ აღმაშენებელზე: მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს 2017 წლის 24 დეკემბრიდან 2018 წლის 07 იანვრის ჩათვლით ახალი წლის აღნიშვნასთან დაკავშირებით ახალ აღმაშენებელზე ქუჩის ორ ადგილას (დასაწყისში და ბოლოში) (15 დღის განმავლობაში) 15:00 სთ-დან - 00:00 სთ-მდე დამწყები არტისტების მონაწილეობით ელექტრონული მუსიკის კონცერტების ორგანიზების მომსახურება, თითო სცენაზე დღეში 2 დიჯეის მონაწილეობით.

ახალ აღმაშენებელზე 15 დღის განმავლობაში სტუმრებისათვის გაიმართება ელექრტონული მუსიკის კონცერტები, რომლის განრიგი თან ერთვის ცხრილი N1-ის სახით.

ცხრილი N1

ღონისძიებების ჩატარების განრიგი (სცენა N1)

	24th	25th	26th	27th	28th	29th	30th	31th	1st	2nd	3rd	4th	5th	6th	7th
3pm	Ako Gelashvili - AlexG	Ika gugushvili	Beka Samvelidze - Bekuchi b2b Daria Zet	Teka Ivanishvili	Levan Jishmeleishvili - LVN	Giorgi Lagidze	ika Gugushvili	Miranda	set	Miranda	Davit Lomtatidze - Davit Germain	Daria Zet b2b Bekuchi	Tornike Shaburishvili - dot	Gio Japaridze	Beka Gabritchidze - Gabrrye
4pm	Ako Gelashvili - AlexG	Ika gugushvili	Beka Samvelidze - Bekuchi b2b Daria Zet	Teka Ivanishvili	Levan Jishmeleishvili - LVN	Giorgi Lagidze	ika Gugushvili	Miranda	set	Miranda	Davit Lomtatidze - Davit Germain	Daria Zet b2b Bekuchi	Tornike Shaburishvili - dot	Gio Japaridze	Beka Gabritchidze - Gabrrye
5pm	Ako Gelashvili - AlexG	Ika gugushvili	Beka Samvelidze - Bekuchi b2b Daria Zet	Teka Ivanishvili	Levan Jishmeleishvili - LVN	Giorgi Lagidze	ika Gugushvili	Miranda	set	Miranda	Davit Lomtatidze - Davit Germain	Daria Zet b2b Bekuchi	Tornike Shaburishvili - dot	Gio Japaridze	Beka Gabritchidze - Gabrrye
6pm	Beka Gabritchidze - Gabrrye	Guga Turkadze - solaut	Beka Samvelidze - Bekuchi b2b Daria Zet	Tornike Shaburishvili - dot	Nestan Kvlividze - nestan	Ako gelashvili - AlexG	Irakli Paichadze - TOMAS	Guga Turkadze - solaut	set	Giorgi Lagidze	Guga Turkadze - solout	Daria Zet b2b Bekuchi	Davit Lomtatidze - David Germain	Giorgi Gigineishvili - jiji	Tornike Kakabadze
7pm	Beka Gabritchidze - Gabrrye	Guga Turkadze - solaut	Beka Samvelidze - Bekuchi b2b Daria Zet	Tornike Shaburishvili - dot	Nestan Kvlividze - nestan	Ako gelashvili - AlexG	Irakli Paichadze - TOMAS	Guga Turkadze - solaut	set	Giorgi Lagidze	Guga Turkadze - solout	Daria Zet b2b Bekuchi	Davit Lomtatidze - David Germain	Giorgi Gigineishvili - jiji	Tornike Kakabadze
8pm	Beka Gabritchidze - Gabrrye	Guga Turkadze - solaut	Beka Samvelidze - Bekuchi b2b Daria Zet	Tornike Shaburishvili - dot	Nestan Kvlividze - nestan	Ako gelashvili - AlexG	Irakli Paichadze - TOMAS	Guga Turkadze - solaut	set	Giorgi Lagidze	Guga Turkadze - solout	Daria Zet b2b Bekuchi	Davit Lomtatidze - David Germain	Giorgi Gigineishvili - jiji	Tornike Kakabadze
				Tornike				Guga Turka						jiji	

				Shaburishvili - dot				dze - so laut							

ცხრილი N1

ღონისძიებების ჩატარების განრიგი (სცენა N2)

	24th	25th	26th	27th	28th	29th	30th	31th	1st	2nd	3rd	4th	5th	6th	7th
3pm	Ika Gugushvili	Levi Berishvili - Tomwildculture	Tornike Kakabadze	Gio Japaridze	Giorgi Lagidze	Elene Nadirashvili - Elene n.	Teka ivanishvili	Beka Gabritchidze - Gabrrye	set	Nestan Kvlividze - nestan	Teka Ivanishvili	Tornike Kakabadze	Giorgi Gigineishvili - jiji	Elene Nadirashvili - elene n.	Giorgi Gigineishvili - jiji
4pm	Ika Gugushvili	Levi Berishvili - Tomwildculture	Tornike Kakabadze	Gio Japaridze	Giorgi Lagidze	Elene Nadirashvili - Elene n.	Teka ivanishvili	Beka Gabritchidze - Gabrrye	set	Nestan Kvlividze - nestan	Teka Ivanishvili	Tornike Kakabadze	Giorgi Gigineishvili - jiji	Elene Nadirashvili - elene n.	Giorgi Gigineishvili - jiji
5pm	Ika Gugushvili	Levi Berishvili - Tomwildculture	Tornike Kakabadze	Gio Japaridze	Giorgi Lagidze	Elene Nadirashvili - Elene n.	Teka ivanishvili	Beka Gabritchidze - Gabrrye	set	Nestan Kvlividze - nestan	Teka Ivanishvili	Tornike Kakabadze	Giorgi Gigineishvili - jiji	Elene Nadirashvili - elene n.	Giorgi Gigineishvili - jiji
6pm	Lasha margiani	Irakli Paichadze - TOMAS	Ako gelashvili - AlexG	Ika Gugushvili	Miranda Namicheishvili	Ika Gugushvili	Tornike Shabulishvili - dot	Davit Lomtatidze - David Germain	set	Ako Gelashvili - AlexG	Tornike Shabulishvili - dot	Giorgi Gvelesiani - Issimo	Beka Gabritchidze - Gabrrye	Levan Jishmeleishvili - LVN	Giorgi Gvelesiani - Issimo
7pm	Lasha margiani	Irakli Paichadze - TOMAS	Ako gelashvili - AlexG	Ika Gugushvili	Miranda Namicheishvili	Ika Gugushvili	Tornike Shabulishvili - dot	Davit Lomtatidze - David Germain	set	Ako Gelashvili - AlexG	Tornike Shabulishvili - dot	Giorgi Gvelesiani - Issimo	Beka Gabritchidze - Gabrrye	Levan Jishmeleishvili - LVN	Giorgi Gvelesiani - Issimo
8pm	Lasha margiani	Irakli Paichadze - TOMAS	Ako gelashvili - AlexG	Ika Gugushvili	Miranda Namicheishvili	Ika Gugushvili	Tornike Shabulishvili - dot	Davit Lomtatidze - David Germain	set	Ako Gelashvili - AlexG	Tornike Shabulishvili - dot	Giorgi Gvelesiani - Issimo	Beka Gabritchidze - Gabrrye	Levan Jishmeleishvili - LVN	Giorgi Gvelesiani - Issimo

10/606

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 20.12.2017 წელი

ქვემოთ ხელის მომწერი და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი ვადასტურებ, რომ აღნიშნულ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის
საქალაქო სამსახურის უფროსი *ირაკლი გვილავა*